ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 7/35

2024 წლის 31 ივლისი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 19 აპრილის, № 4/30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ ფოთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 755.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.02.688) და კოკაიას ქუჩაზე მდებარე 2001.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.744) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 755.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.02.688) და კოკაიას ქუჩაზე მდებარე 2001.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.744) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმაში დამატებასთან დაკავშირებით.

ამასთან, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმიდან ამოღებული უნდა იქნეს ამ დროისთვის პრივატიზებული ქალაქ ფოთში, დავით კლდიაშვილის ქუჩა №23-ში მდებარე 1073.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნგებობა N1, N2, N3 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.12.318).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 19 აპრილის, №4/30 განკარგულებაში და განკარგულების დანართი №1 (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა) და დანართი №2 (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმა) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი , დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2024 წლის 31 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**

დანართი N1

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

N	მესაკუთრე	უძრავი ქონების დასახელება	უძრავი ქონების მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ფოთი, გურიის ქუჩა N207	562.00		04.02.11.901
2	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ფოთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N1ა	751.00		04.02.15.214
3	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ფოთი, 9 აპრილის ხეივანი	544.00		04.01.10.801
4	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ფოთი, გურიის ქუჩა	161.00		04.02.12.969
5	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ფოთი, ვალერი გეგიძის ქუჩა N22გ	209.00		04.01.07.090
6	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ფოთი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა	755.00		04.01.02.688
7	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ფოთი, კოკაიას ქუჩა	2001.00		04.01.03.744

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა

დანართი N2

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმა

N	საპრივატიზებო ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ
1	562.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.11.901)	ქალაქი ფოთი, გურიის ქუჩა N207	50 900.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
2	751.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.15.214)	ქალაქი ფოთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N1ა	375 500.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
3	544.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.801)	ქალაქი ფოთი, 9 აპრილის ხეივანი	144 600.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
4	161.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.12.969)	ქალაქი ფოთი, გურიის ქუჩა	26 300.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
5	209.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.090)	ქალაქი ფოთი, ვალერი გეგიძის ქუჩა N22გ	14 600.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში

6	755.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.02.688)	ქალაქი ფოთი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა	89 900.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
7	2001.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.744)	ქალაქი ფოთი, კოკაიას ქუჩა	227 000.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა